European Commission

ETIAS – ევროკავშირის მგზავრთა საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემა

"ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ გადაკვეთს ჩვენს საზღვრებს. ნოემბრისთვის ჩვენ შემოგთავაზებთ ავტომატიზირებულ სისტემას, რათა განისაზღვროს, თუ ვის მიეცემა ევროპაში მოგზაურობის ნებართვა. ამ გზით ჩვენ გვეცოდინება, ვინ იმოგზაურებს ევროპაში, სანამ ისინი აქ მოხვდებიან."

ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერის მიმართვა, 14 სექტემბერი 2016 წ.

კომისია აპირებს ევროკავშირის მგზავრთა საინფორმაციო და ავტორიზაციის სისტემის (ETIAS) შექმნას, შენგენის ტერიტორიაზე უვიზო რეჟიმის ხელშეკრულების პირობებში სამგზავრო უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. ეს გადაწყვეტილება თან სდევს სექტემბერში პრეზიდენტ იუნკერის მიერ, 2016 წლის მიმართვისას გაკეთებულ განცხადებას და ბრატისლავას საგზაო რუკის ფარგლებში გამოვლენილ პრიორიტეტებს. ETIAS-ი შეკრებს ინფორმაციას ყველა მგზავრზე, რომლებიც ევროპაში აპირებენ მოგზაურობას უვიზო მიმოსვლის პირობებში და უზრუნველყოფს უსაფრთხოების საჭირო ზომების იდენტიფიცირებას მათი შენგენის ტერიტორიაზე შემოსვლამდე, იგი ასევე ხელს შეუწყობს ევროკავშირის გარე საზღვრების უფრო ეფექტიან მართვას და შიდასახელმწიფოებრივ და მოქალაქეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

მგზავრთა ავტორიზაციის სისტემა:



დაზოგავს მოგზაურის დროს და თავიდან აარიდებს მგზავრობასთან დაკავშირებულ სირთულეებს

გააუმჯობესებს საზღვრის მართვას

სრულყოფს ჩვენს ვიზა-ლიბერალიზაციის პოლიტიკას

ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის პრევენციას

გააძლიერებს დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას

ETIAS-ი გავრცელდება უვიზო მიმოსვლის მქონე არა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისათვის

მიგრაციის და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი

როგორ იმუშავებს სისტემა?



მოთხოვნილი მონაცემების მაგალითები:

- პერსონალური მონაცემები
- სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი)
- წევრ სახელმწიფოთა შორის პირველი შესვლის ქვეყანა
- დამატებითი კითხვები, რომლებიც უკავშირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებს, კრიმინალურ წარსულს, წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლაზე უარს ან გადაწყვეტილებას წევრი ქვეყნის ტერიტორიის დატოვების შესახებ

თუკი განცხადება წარდგენილია სხვა პირის მიერ (არა განმცხადებლის), ამ პირის ან კომპანიის ვინაობა, რომელსაც იგი წარმოადგენს.

ETIAS-ის სამგზავრო ნებართვის გამოხმობა ან ანულირება

ETIAS- ის სამგზავრო ნებართვა გაუქმდება მაშინ, **როდესაც განმცხადებელი სამგზავრო ნებართვის გაცემის პირობებს უკვე აღარ აკმაყოფილებს,** განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ სამგზავრო ნებართვა გაყალბებით არის მოპოვებული

ან

გაუქმება ასევე მოხდება თუკი:

- შესვლაზე უარისთვის
- ან დაკარგულ ან მოპარულ სამგზავრო დოკუმენტზე შეტყობინება

შეამოწმებს რამდენად ეხება ეს შეტყობინება მოქმედ სამგზავრო ნებართვას

თუკი შეტყობინება დადასტურდა, შეტყობინების შემქმნელი წევრი სახელმწიფო პასუხისმგებელი იქნება სამგზავრო ნებართვის გაუქმებაზე.

გამოხმობა ან ანულირება ხორციელდება წევრი სახელმწიფოს ორგანოების მიერ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც ჩვეულებრივ იწვევს სამგზავრო ნებართვის გამოხმობას ან ანულირებას. ან იმ წევრ სახელმწიფოთა ETIAS- ის ეროვნული განყოფილებების მიერ რომელიც განმცხადებელმა მონიშნა, როგორც პირველი შესვლის ქვეყანა.

ETIAS-ის სტრუქტურა

ETIAS-ის ცენტრალური განყოფილება

უზრუნველყოფს ETIAS-ის სისტემის მეშვეობით ჩაწერილ განაცხადის ფაილებსა და პერსონალური მონაცემების სისწორეს და მუდმივ განახლებას, საჭიროების შემთხვევაში, მგზავრს აძლევს სამგზავრო ნებართვას, თუკი მის იდენტურობასა ან განაცხადთან დაკავშირებით წარმოიშვა დაბრკოლება განაცხადის ავტომატურად დამუშავების დროს.

ETIAS- ის სკრინინგის საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, იგი ასევე განსაზღვრავს, შეაფასებს, შეამოწმებს და გადახედავს ETIAS-ის სკრინინგის სპეციფიკური რისკების ინდიკატორებს და განახორციელებს რეგულარულ აუდიტს განაცხადების მართვისა და ETIAS-ის სკრინინგის წესებზე, კერძოდ განიხილავს მათ გავლენას ძირითად უფლებებთან, განსაკუთრებით კონფიდენციალურობასა და მონაცემთა დაცვასთან მიმართებაში.

ETIAS-ის ეროვნული განყოფილებები

პასუხისმგებელნი არიან განაცხადის ავტომატური დამუშავებიდან მათთან გადამისამართებულ სამგზავრო ავტორიზაციის შეფასებასა და მათ შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე სხვა წევრ სახელმწიფოთა ETIAS-ის ეროვნული განყოფილებების მიერ მიწოდებული განაცხადების შესახებ მოსაზრებების გაზიარებაზე.

Europol - ევროპოლი

შექმნის და მართავს ETIAS-ის "საყურადღებო სიას" (watchlist) და კონსულტაციას გაუწევს ETIAS- ის ეროვნულ განყოფილებებს ETIAS- ის ავტომატური დამუშავების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ.

EU-LISA*

პასუხისმგებელი იქნება ETIAS-ის საინფორმაციო სისტემის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე

ETIAS-ის სამეთვალყურეო საბჭო

საკონსულტაციო ორგანო, რომელიც შედგება ETIAS-ის ეროვნული განყოფილებებისა და Europol-ის წარმომადგენლებისგან, კონსულტაციას გაწევს რისკების ინდიკატორების განსაზღვრის, შეფასებისა და გადახედვის, ასევე ETIAS- ის "საყურადღებო სიის" (watchlist) შემუშავების მიზნით.

საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო

უზრუნველყოფს ETIAS-ის ცენტრალური განყოფილების შექმნასა და მართვას.

* თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სფეროებში დიდი მასშტაბის საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემათა ოპერატიული მართვის ევროპული სააგენტო